P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9275
ლიცენზია: CC BY-SA

ეკა ზარნაძე*

ალიმენტზე ბავშვის უფლების რეალიზების გამოწვევები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

სტატია ეთმობა ალიმენტზე ბავშვის უფლების რეალიზების აქტუალურ საკითხებს სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის, სამოსამართლეო სამართლის ჭრილში. გვთავაზობს რეკომენდაციებს აღნიშნული ინსტიტუტის გაძლიერების, ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: *ალიმენტი, საალიმენტო შემწეობა, ალიმენტვალდებული პირი, მზრუნველი მშობელი, ბავშვის საუკეთესო ინტერესები, საარსებო მინიმუმი, დროებითი განკარგულება.*

1. შესავალი

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (CRC) აღიარებს მშობელთა (და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირთა) ძირითად ვალდებულებად, მათი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში, უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. ასევე განამტკიცებს ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე და მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას უზრუნველყოს იგი. კონვენცია ხაზს უსვამს ხელისუფლების მოვალეობას უზრუნველყოს მშობლების მორალური და სამართლებრივი წახალისება, შეასრულონ ბავშვის წინაშე არსებული საკუთარი ფინანსური ვალდებულება მათი განქორწინებისა და ბავშვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.[1]მოცემულს საფუძვლად უდევს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონცეფცია – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ბავშვის კეთილდღეობა უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებისას, რომელიც განხორციელდება სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე საჯარო თუ კერძო დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო ორგანოების მიერ [2].

საერთაშორისო აქტების სულისკვეთებას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობა. იგი ბავშვის უფლებათა დაცვას კონსტიტუციურ ღირებულებათა კატეგორიას განაკუთვებს[3]. და შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულად აღიარებს უზრუნველყოს შესაბამისი საკონ-

---

* სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

1 გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, მუხ. 27. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [15.03.2025], საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს, ძალაში შესვლის თარიღი 02/07/1994.

2 მუხ. 3. იქვე. ასევე იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 (2013წ.) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“ <https://digitallibrary.un.org/record/778523> [15.03.2025].

3 მუხ.30.2. : დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.
იხ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31-33, 24/08/1995 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [15.03.2025].

მდებლო/ინსტიტუციური ჩარჩო ბავშვის უფლებათა, მათ შორის სარჩოზე უფლების, უზრუნველსაყოფად. ამ უკანასკნელის განხორციელების ერთერთი ინსტრუმენტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდეგ სსკ) გათვალისწინებული საალიმენტო ვალდებულების ინსტიტუტია[4]. იგი აღიარებს ბავშვის მიმართ ოჯახის წევრთა საალიმენტო ვალდებულებას. ბავშვის უფლება მიიღოს სარჩო განმტკიცდა 2020 წლის ბავშვის უფლებათა კოდექსით (შემდეგ ბუკი)[5]. ალიმენტი ლათინული სიტყვაა და ქართულად საზრდოს, საკვებს ნიშნავს[6]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ალიმენტის ცნებაში სწორედ მისი მიმღების „რჩენა-აღზრდისათვის" აუცილებელ სახსრებს მოიაზრებს.[7]

საალიმენტო სამართალს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში საკანონმდებლო მოწესრიგების, თუ დოქტრინალურ კვლევის ჭრილში ნაკლებად ეთმობოდა სათანადო ყურადღება [8]. ბუკის მიღებისა /2020წ./ და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების, საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდის ტენდენციის ფონზე, საალიმენტო სამართლის საკანონმდებლო მოწესრიგების გაუმჯობესებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოებისათვის, ალბათ უკვე, ნიადაგი მომზადდა.

ამ მიმართულებით მეტად აქტუალურია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრაში მეტი ობიექტურობის შემოტანისა და ერთგვაროვნების მიღწევის პრობლემა, და ასევე ალიმენტის თაობაზე გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხი. რიგ ქვეყნებში პირველს ალიმენტის

---

[4] აღსანიშნავია, რომ მშობელთა მოვალეობა აღზარდონ შვილები კეთილსინდისიერ მოქალაქეებად და სრულწლოვანებამდე იზრუნონ მათზე ლიეტუვას რესპუბლიკაში კონსტიტუციითაა აღიარებული. იხ. Article 38. The Constitution of the Republic of Lithuania. Adopted by the citizens of the Republic of Lithuania in the Referendum of 25 October 1992 <https://www.lrs.lt/home/Konstitucija/Constitution.htm> [15.03.2025].

[5] მუხ.12, 46, 47. კოდექსმა ასევე განმარტა ბავშვის და მშობლის სტატუსი: „ბავშვი – 18 წლამდე არასრულწლოვანი", „მშობელი – ბავშვის დედა ან/და მამა" – მუხ. 3.
იხ. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-Iს, 20/09/2019, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4> [15.03.2025].
ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენციაც ბავშვის ცნებაში მოიაზრებს 18 წლამდე პირს, თუმცა უტოვებს ეროვნულ კანონმდებლობას სრულწლოვანების ასაკის ცვლილების არჩევანს – მუხ. 1.
იხ. გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [15.03.2025], საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს, ძალაში შესვლის თარიღი 02/07/1994.

[6] ალიმენტი ლათინური alere-დან მოდის და ნიშნავს „საზრდოს", "alimentum" ტერმინის გამოყენება თარიღდება მე-15 საუკუნით. იურიდიულად ესაა საოჯახო სამართლებრივი ხასიათის ფულადი ვალდებულება და მისი წარმოშობა უკავშირდება ასაკს ან შრომისუუნარობა/მატერიალიურ საჭიროებებს. საფუძველი შეიძლება ყოველთვის არ უკავშირდებოდეს ასაკს. იხ. <https://www.merriam-webster.com/dictionary/aliment> [15.03.2025].
ტერმინის ეტიმოლოგიური და ისტორიული წარსულის შესახებ იხ. ასევე *შენგელია რ., შენგელია ე.* საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2011, 244-245.

[7] მუხ.1214, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 786, 24/07/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [15.03.2025].

[8] მოცემულზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ალიმენტთან დაკავშირებით, დოქტრინალურ სივრცეში არ ჩატარებულა არსებითი კვლევა ათწლეულების განმავლობაში. აღსანიშნავია 2015 წლისათვის შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი *ჯაფარიძე ქ.,* მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები", *სადოქტორო ნაშრომი"* თსუ, 2015. რომლის ერთერთი თავი შობლებისა და შვილების საალიმენტო ურთიერთობას ეძღვნება.
<https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf> [15.03.2025].
აღსანიშნავია 2022-2023წწ. კვლევები: *ლომთათიძე ე., მამრიკიშვილი ე.,* ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება შედარებით – სამართლებრივი კვლევა, თბ., 2022.
სიჭინავა ე., ილიას სამართლის სახლი, საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება განქორწინებისა და მამობის დადგენის საქმეებზე დადგენის საქმეებზე, თბ., 2023.

დადგენის ფორმულები და სახელმძღვანელო რეკომენდაციები ემსახურება, მეორესთან მიმართებით კი ითვალისწინებენ სხვადასხვა სახის სანქციებს ნებაყოფლობით გადაუხდელობისათვის[9].

2022-2023 წწ. ქართულ სამართლებრივ კვლევებში ვკითხულობთ: საქართველოს „სასამართლოები ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლით, ზოგადი სტანდარტების საფუძველზე და სასამართლო პრაქტიკაში არამარტო ერთგვაროვნების მიღწევაა რთული, არამედ, ალიმენტის ოდენობები გადაწყვეტილებაში ჩნდება სრულიად სპონტანურად, რაიმე ობიექტური კალკულაციის გარეშე".[10] რასაც დიდწილად მოცემული სფეროს დოქტრინალური კვლევის სიმწირე და საკანონმდებლობის ხარვეზები განაპირობებს.

2. ალიმენტვალდებული პირი

საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობა ალიმენტვალდებულსა და ალიმენტზე უფლების მქონე პირს შორის კანონის[11] საფუძველზე წარმოიშობა და ამ სახის საოჯახო ვალდებულების მიმართ *numerus clausus* პრინციპი (სამოქალაქო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოვალეობის სუბიექტებს) მოქმედებს.

ბავშვის მიმართ პირველი რიგის ალიმენტვალდებული პირი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მშობელია[12]. მაგრამ არ არის განსაზღვრული, რომელია მეორე რიგის ალიმენტვალდებული პირი და/ძმა, თუ ბებია/ბაბუა.[13] თუმცა მშობელთან მიმართებითაც არ არის

---

[9] *ლომთათიძე ე., მამრიკიშვილი ე.,* ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება შედარებითსამართლებრივი კვლევა, თბ., 2022, 39-75. *Herring J.,* Family Law, 8th ed., University of Oxford, 2017 <https://aghalibrary.com/storage/books/1609407553_AghaLibrary.pdf> [15.03.2025].

[10] იქვე, 31-32.

[11] მუხ.1182, 1212, 1219, 1223-1227,1229.
საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 786, 24/07/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [15.03.2025].

[12] მუხ.1197, 1198, 1212-1214, იქვე.

[13] იხ. მუხ.1223, 1225, იქვე
გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1606-ე მუხლი მიუთითებს რჩენაზე ვალდებულ პირთა უფლებათა რიგითობას და განმარტავს: 1. შთამომავლები ვალდებულნი არიან რჩენაზე აღმავალი ხაზით ნათესავების უპირატესად. 2. შთამომავლებსა და აღმავალი ხაზით ნათესავებს შორის უფრო ახლო ნათესავები პასუხს აგებენ შორეულ ნათესავებზე უპირატესად. 3. რამდენიმე თანაბრად ახლო ნათესავი პასუხს აგებს თავისი შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის პროპორციულად. მშობელი, ვინც ახორციელებს არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილის მიმართ მზრუნველობას, ბავშვის რჩენაში თანამონაწილეობის ვალდებულებას ასრულებს, როგორც წესი, ბავშვის მოვლისა და აღზრდის გზით.
1609 მუხლი – რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირის უფლებათა რიგითობა – ითვალისწინებს შემდეგ წესს: (1) თუ სახეზეა რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი და რჩენაზე ვალდებულ პირს არ შეუძლია ყველა მათგანისათვის სარჩოს გადახდა, მოქმედებს შემდეგი რიგითობა: 1. არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილები და შვილები §1603 მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით. 2. მშობლები, რომლებიც შვილის მიმართ მზრუნველობის გამო უფლებამოსილნი არიან რჩენაზე ან უფლებამოსილნი იქნებოდნენ აღნიშნულზე განქორწინების შემთხვევაში, ასევე მეუღლეები და განქორწინებული მეუღლეები ხანგრძლივვადიანი ქორწინების შემთხვევაში; თუ დგინდება, რომ ქორწინება იყო ხანგრძლივვადიანი, გასათვალისწინებელია ასევე უარყოფითი შედეგები §1578ბ 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების გაგებით, 3. მეუღლეები და განქორწინებული მეუღლეები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან №2-ში მითითებულ პირებს, 4. შვილები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან №1-ში მითითებულ პირებს, 5. შვილიშვილები და შორეული შთამომავლები, 6. მშობლები, 7. აღმავალი ხაზის შორეული ნათესავები; ამ უკანასკნელთა შორის უახლოესი ნათესავები ვალდებულნი არიან შორეულების უპირატესად.

გამოკვეთილი საქართველოს კანონმდებლობით რომელი მშობელია ალიმენტვალდებული პირი. ასეთად უნდა მივიჩნიოთ მშობელი, რომლის საცხოვრებელი ადგილიც არ ითვლება ბავშვის საცხოვრებელ ადგილად სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მხარეთა შეთანხმებით. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ როდესაც არ არის სასამართლო გადაწყვეტილება შვილის საცხოვრებელ ადგილის განსაზღვრის შესახებ, ბავშვი შეიძლება ორივე მშობელთან ატარებდეს მეტ/ნაკლებად თანაზიარ დროს. ხომ არ უნდა გვქონდეს მართლაც ცნებები „არათანმცხოვრები მშობელი" (რომლის საცხოვრებელი ადგილიც არ წარმოადგენს ბავშვის საცხოვრებელს სასამართლო გადაწყვეტილების /მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ან რომელთანაც ბავშვი წლის განმავლობაში გარკვეული რაოდენობის დღეებს ატარებდეს და რომელიც არ ითვლება მზრუნველ მშობლად), „მზრუნველი მშობელი".

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით ალიმენტის გადახდის ვალდებულება არის ე. წ. არათანამცხოვრები მშობლის ვალდებულება. არათანამცხოვრებ მშობელს წარმოადგენს მშობელი თუ: ა) ის არ ცხოვრობს იმავე ოჯახში, სადაც ბავშვი; და ბ) ბავშვი ცხოვრობს იმ პირთან, რომელიც მასთან მიმართებაში განისაზღვრება, როგორც მზრუნველი პირი. მშობელი „არათანამცხოვრებად" ჩაითვლება მაშინაც, როდესაც ის ფაქტობრივად 152 ან მეტ დღეს ატარებს ბავშვთან. მშობელი თუ არ არის „მზრუნველი მშობელი" სამართლის მიზნებისთვის, მაშინ ის ვალდებულია, იხადოს ალიმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი შეიძლება წლის თითქმის ან ზუსტად ნახევარს ატარებდეს მასთან. თუ ორივე მშობელი ჩაითვლება „მზრუნველ მშობლად" და თანაბრად გაიყოფს ბავშვზე ზრუნვას, რაც კანონით დასაშვებია, მაშინ ალიმენტის საკითხი არ დგება და არავინ გადაიხდის ალიმენტს. და თუ მშობლები იყოფენ ზრუნვას ბავშვზე, ერთ-ერთი მშობელი მაინც ჩაითვლება „არათანამცხოვრებ მშობლად", თუ მეორე მშობელი შეძლებს ბავშვის რჩენის სამსახურისთვის იმის დამტკიცებას, რომ ის მეტად ზრუნავს ბავშვზე („ზრუნვის განაწილება" მტკიცების საგანს წარმოადგენს და მასზეა დამოკიდებული ალიმენტის მიზნებისთვის „არათანამცხოვრები" ან „მზრუნველი მშობლის სტატუსი")[14].

დღეისათვის საქართველოს სასამართლო პრაქტიკით ალიმენტვალდებულ პირად ის მშობელი განიხილება, რომლის საცხოვრებელი ადგილი არ ითვლება ბავშვის საცხოვრებელ ადგილად[15] – თუმცა კანონმდებლობიდან მოცემული პირდაპირ არ იკითხება. და თუ მშობლები არ შეთანხმებულან საცხოვრებელ ადგილზე და იგი სადავოა, ამ უკანასკნელის გადაწყვეტამდე სასამართლო ვერ იმსჯელებს ალიმენტის გადახდის დაკისრებაზე.

იხ. German Civil Code. in the version promulgated on 2 January 2002 (Federal Law Gazette [Bundesgesetzblatt] I page 42, 2909; 2003 I page 738), last amended by Article 1 of the Act of 10 August 2021 (Federal Law Gazette I p. 3515 <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p6331> [15.03.2025].

14 გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა. Child Support Act 1991. Meaning of certain terms used in this Act <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1991/48/enacted> . [15.03.2025],
The Child Support Maintenance Calculation Regulations 2012, Regulation 50, "Parents treated as non-resident parent in shared care cases" <https://www.legislation.gov.uk/uksi/2012/2677/contents/made> [15.03.2025],
აღნიშნული ცნებების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ისიც, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე დაბადებულ ბავშვთა რიცხვი, რომელთა მშობლები ერთად არ ცხოვრობენ, თითქმის სამჯერ გაიზარდა. *Seltzzer J. A., Meyer D.R.,* Child Support and Children/s Well-Being. *<https://evidence2impact.psu.edu/wp-content/uploads/2023/05/s_wifis06c02.pdf.>* [15.03.2025].1,2.

15 მაგ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინებასაქმეზე №2ბ/5467-24 .

სსკ-ის მიხედვით, ბავშვის უფლება ალიმენტზე პირველ რიგში რეალიზდება მშობლის მიერ, და იგია ასევე დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მოვალეობის სუბიექტი. ამასთან, სსკ-ის 1215-ე მუხლი (მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა.)) ბავშვის დამატებითი ხარჯის მოთხოვნის უფლების წარდგენას მხოლოდ მშობლის მიმართ ითვალისწინებს, რაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ. და დამატებითი ხარჯის გაღების მოვალეობა შესაბამისი რიგის ალიმენტვალდებულ პირის კუთვნილებაა. ეს ხარვეზი სამოსამართლეო სამართლითაც შესაძლოა შეივსოს, თუმცა ეს თავისთავად საუკეთესო გამოსავალი არ არის.

3. მხარეთა მატერიალური მდგომარეობის შესწავლა – ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წინაპირობა

იმ ქვეყნებში სადაც ალიმენტს ადგენს სასამართლო, მახასიათებელია მისწრაფება მისი ოდენობის განსაზღვრაში მეტი ობიექტრობის შემოტანის და ერთგვაროვნების მიღწევის. რასაც ემსახურება ალიმენტის დადგენის ფორმულები და სახელმძღვანელო რეკომენდაციები. ამ უკანასკნელთათვის ამოსავალია ორივე მშობლის შემოსავალის შესახებ ინფორმაცია, რათა ბავშვისათვის შესაბამისად დაანგარიშდეს ალიმენტის ოდენობა[16].

საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს მშობელთა მატერიალური მდგომარეობის შესწავლას ალიმენტის განსაზღვრის წინაპირობად – სსკ-ის მუხ. 1214: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. და მოცემული სავალდებულო წინაპირობად უნდა იქნეს განხილული სასამართლო დავის დროს, რაც მოიაზრებს სასამართლოს მოვალეობას დაადგინოს იგი . მოცემულის ინსტრუმენტი კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ სსსკ)[17] 354.1. მუხლია: სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ეს წესი უფრო აქტიური ფორმითაა წარმოდგენილი ზოგიერთ სხვა ქვეყანაში: უელსისა და ინგლისის კანონმდებლობით ბავშვის ალიმენტის სამსახურს გააჩნია საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილი, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, გამოიკვლიოს პირის ნამდვილი შემოსავალი, როგორც მისი, ისე სხვა პირის, მაგალითად დამსაქმებლის, საკუთრებაში არსებულ შენობებში შესვლით და ინფორმაციის ადგილზე შეგროვებით. მსგავსი ინსტიტუტია გათვალისწინებული აშშ-ს ზოგიერთ შტატში სოციალური სამსახურის სპეციალურ წარმომადგენლის მომკვლევის სახით[18].

---

[16] *Herring J.,*Family Law, Eighth Edition. University of Oxford, 2017. 202-214. <https://aghalibrary.com/storage/books/1609407553_AghaLibrary.pdf> [15.03.2025]; Family Law Handbook. Canadian Judicial Council, 21-26, <https://cjc-ccm.ca/sites/default/files/documents/2021/Family%20Handbook%20-%20ENGLISH%20MASTER%20FINAL%202021-03-30.pdf>[15.03.2025].
ლომთათიძე ე., ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება – საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, თბ., 2022, 5.

[17] საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>[15.03.2025].

[18] *Herring J.,*Family Law, Eighth Edition. University of Oxford, 2017. 619-620.

ალიმენტის ოდენობის განმსაზღვრელი ფუძემდებლური ნორმა – სსკ მუხ. 1214 – ადგენს: ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიმართ ზოგჯერ ისმის არც თუ უსაფუძვლო კრიტიკა: საქართველოში გამოკვეთილია ალიმენტის თანხის ოდენობის კალკულაციასთან დაკავშირებული პრაქტიკის არაერთგვაროვნება, ზოგჯერ პირობითი და ბუნდოვანია ის წესი, რომელსაც სასამართლო იყენებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას.[19] ამ ხარვეზის შესავსებად მოცემული კანონმდებლობის გათვალისწინებით, სასამართლოებმა, სსკ-ის ზემოაღნიშნულ 1214-ე მუხლთან ერთად, უნდა იხელმძღვანელონ ბუკ-ის 81-ე მუხლით. ეს უკანასკნელი ადგენს საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვის ჭრილში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სტანდარტს.

ბუკ-ის 81-ე მუხლი ეხება ბავშვთან დაკავშირებულ ყველა სახის სამოქალაქო დავაზე მისაღებ გადაწყვეტილებას, ისევე როგორც სსსკ-ის 354-ე მუხლი. თუმცა გვხვდება სალიმენტო დავის საქმეები, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არა აქვს გამოყენებული მოცემული ნორმა, ან გამოყენებული აქვს მხოლოდ მოპასუხის შემოსავლების დასადგენად. რა დროსაც სააპელაციო პალატა, სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს, საკუთარი ინიციატივით, გამოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციას როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის შემოსავლების შესახებ, და ამავე დროს როგორც სარჩელის აღძვრის შემდგომი ისე, სარჩელის აღძვრამდე გასული პერიოდისთვისაც (გონივრული წარსული პერიოდი), რათა მხარეთა ფინანსური პოტენციალის, საშუალო მატერიალური მდგომარეობის შესახებ სრული სურათი იყოს წარმოდგენილი[20].

ამდენად, მხარდასაჭერია ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე შესაგებლის წარმოდგენის შემდგომ ან ამისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლისთანავე, სასამართლოს ინიციატივით, შესაბამისი განჩინების ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე მიღების წესითა და სსსკ-ის 83-ე მუხლის მოთხოვნათა[21] დაცვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ორივე მხარის შემოსავლების შესახებ ცნობების გამოთხოვის ერთგვაროვანი პრაქტიკა. აღნიშნული წესით, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია სხვა დაწესებულებებიდანაც, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გამოითხოვოს ინფორმაცია (მაგალითად საბანკო სექტორიდან მხარეთა ანგარიშებზე არსებული თანხების/ბრუნვის ისტორიის თაობაზე და სხვ.). ამგვარი პრაქტიკა სრულად გამომდინარეობს კანონმდებლობიდან და ხელს შეუწყობს სამართალწარმოების სისწრაფეს და მოქნილობას ამ კატეგორიის დავებზე.

<https://aghalibrary.com/storage/books/1609407553_AghaLibrary.pdf> [15.03.2025].

ლომთათიძე ე., მამრიკიშვილი ე., 'ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება შედარებით – სამართლებრივი კვლევა, თბ., 2022, 5-7; *ლომთათიძე ე.,* ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება – საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, თბ., 2022, 4-7.

19 *ლომთათიძე ე.,* ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება – საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, თბ., 2022, 31-32.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე №2ბ/2512-24, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე №2ბ/4704-21.

21 სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით საკითხის თაობაზე მხარეებისათვის წინასწარი შეტყობინებისა და მოსაზრების წარმოდგენის უფლების მინიჭების წესის დაცვის შესახებ მოთხოვნა.

სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მტკიცებულებების გამოთხოვა, მაგრამ ეს არ გულისხმობს მტკიცების ტვირთისაგან მხარეთა სრულად გათავისუფლებას და არც ასეთი ტენდენცია უნდა შეიქმნას. სააპელაციო პალატის მაგალითი, იმას მიუთითებს, რომ პალატამ საქმის ხელახლა პირველ ინსტანციაში განსახილველად უკან დაბრუნების გზას არჩია არსებითი განხილვით საბოლოო გადაწყვეტილების თავად მიღება სამართალწარმოების ეკონომიურობის და სისწრაფის პრინციპზე დაყრდნობით. და ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სსსკ-ის 354-ე მუხლის ზემოაღნიშნული წესით გამოყენება, რა თქმა უნდა, სრულად ვერ ჭრის იმ პრობლემას, რაც ალიმენტვალდებული პირის შემოსავლების დამტკიცებაში გამოიხატება.

სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ეყრდნობა მხოლოდ ე.წ. ოფიციალური შემოსავლების წყაროებს და იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე არაფორმალურადაა დასაქმებული და ამის შესახებ უთითებს მოსარჩელე, სასამართლო ვერ იკვლევს მის ფაქტობრივ მატერიალურ მდგომარეობას. ასეთ დროს თავად მხარემ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და მიმართოს სახელმწიფოს იმ სამსახურებს, რომელიც ფინანსურ დარღვევებს იძიებს. კანონმდებლობიდან გამომდინარე ვერ შეითავსებს სამოქალაქო დავის განმხილველი სასამართლო საგამოძიებო ფუნქციას. დასაფიქრებელია, სხვა ქვეყნებში მოქმედი სოციალურ სამსახურებთან არსებული ზემო აღნიშნული ე.წ. მომკვლევის სამსახურის ამოქმედება საალიმენტო დავებისათვის.

4. ალიმენტის ოდენობა და ალიმენტვალდებულის მატერიალური მდგომარეობის მიმართება

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მშობლის შესაძლებლობები (სსკ-ის1198-ე, 1212-ე, 1214-ე, 1221-ე მუხლები). ეს კი გულისხმობს ალიმენტის ოდენობის გონივრულ და სამართლიან შესაბამისობას მშობლების ფინანსურ მდგომარეობასთან. ეს უკანასკნელი მოიაზრებს დასაქმების და სტაბილური შემოსავლის არარსებობის ფაქტის გათვალისწინებასაც. „თუმცა მშობლის უმუშევრობისა და სტაბილური შემოსავლის არარსებობის შემთხვევაშიც, უნდა განისაზღვროს ალიმენტის ის მინიმალური ოდენობა, რაც საჭიროა არასრულწლოვანის რჩენისა და აღზრდისთვის. [22] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის პრეამბულა უთითებს, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“[23]. „სპეციალური დაცვის“ აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტად კონვენცია განიხილავს არასრულწლოვანის სოციალურ უფლებას, რომელიც ამავე კონვენციით აღიარებულ „საუკეთესო ინტერესების“ ქოლგის ქვეშ თავსდება და სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის. [24] ამასთან, სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს ბავშის მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით უნდა მიმართავდეს ყველა შესაბამის

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 09.11.2022წ. Nას- 1072-2022. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx> [15.03.2025].

[23] გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [29.01.2024], საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს, ძალაში შესვლის თარიღი 02/07/1994.

[24] მუხ. 26, იქვე.

საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას. არასრულწლოვანის დაცვის (მათ შორის, სოციალური დაცვის) საერთაშორისო ნორმის იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებშია ასახული, რომელთაგან ერთ-ერთს, სამოქალაქო კოდექსის ნორმები წარმოადგენს. „ერთ-ერთს" რადგან, სამწუხაროდ სახელმწიფოს არა აქვს გათვალისწინებული ამ მოვალეობის მეორე ასპექტი, თავად უზრუნველყოს ბავშვის უფლება საჩოზე, როცა მშობელს არ აქვს ამის რესურსი ან არ ასრულებს ამ მოვალეობას.

სსკ-ის 1212-ე მუხლში ასახულია მშობელთა სოციალური ვალდებულება. და ალიმენტი, სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს მინიმალურ მატერიალურ დაცვას იმ პირისა, რომელიც საჭიროებს ზრუნვას.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კონტექსტში საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვთა ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მათი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა. ამასთან, მართალია, კანონმდებლობით დაწესებულია მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობა, რაც ალიმენტის გადახდის მოვალეობასაც მოიცავს, მაგრამ კანონმდებელი არასრულწლოვანის სასარგებლოდ დასაკისრებელი ალიმენტის მინიმალურ ზღვრულ ოდენობას არ ადგენს[25]. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იმოქმედოს დისკრეციის ფარგლებში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა შეფასებით, უნდა დაადგინოს ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. ამასთან, ალიმენტის ოდენობის დადგენისას უნდა შეფასდეს მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა ობიექტური გარემოებები. როგორც განმარტა სასამართლომ:

ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას[26].

5. ალიმენტის არაფორმალური ხასიათი

მხარისათვის ალიმენტის გადახდის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. არ გვექნება მხოლოდ ფორმალურ ხასიათი, როდესაც გამოკვეთილი იქნება ბავშვის აღზრდისათვის აუცილებელი მეტი წილი კომპონენტები. შესაბამისად ადგილი უნდა ჰქონდეს ბუკ-ით აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშეწყობას. კერძოდ *ნათელი უნდა*

[25] ალიმენტის ოდენობის მინიმალურ ზღვარს ითვალისწინებდა ლიეტუვას კანონმდებლობა, რომლის მიხედვით იგი არ უნდა ყოფილიყო ყოველწლიურად განსაზღვრული მინიმალური ხელფასის ნახევარზე ნაკლები შდრ.*ლომთათიძე ე., მამრიკიშვილი ე.,* 'ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება შედარებით – სამართლებრივი კვლევა', თბ.,2022, 80-81.

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-58-49-2011, 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1141-1061-2017, 2020 წლის 25 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1355-2019, 2020 წლის 13 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1301-2019.

იყოს იმ ხარჯის გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს კვებას, ფიზიკური განვითარებას /სპორტული აქტივობის უფლება/, შემეცნებით განვითარებას /კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა/ დასვენების უფლებას, განათლების უფლებას და ამ ასაკის ბავშისათვის საჭირი სამედიცინო მეთვალყურეობას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად თავად მოსარჩელე და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოც ალიმენტის მოთხოვნას დამატებითი ხარჯის მოთხოვნისაგან არ მიჯნავს. სსკ-ის 1215-ე მუხლის თანახმად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა). მუხლი წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას, და დამატებით ხარჯს არა აქვს ალიმენტის მსგავსი განგრძობადი ხასიათი. ალიმენტისაგან, როგორც მშობლის უპირობო ვალდებულებისაგან, განსხვავებთ, რომელიც არ მოითხოვს შვილის სპეციალური საჭიროების ადდასტურებას, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მართალია, დამატებით ხარჯებში მონაწილეობა ალიმენტთან პირდაპირ დაკავშირებული არ არის, თუმცა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაკისრებული ალიმენტის ოდენობაც. მართალია, საერთო წესის მიხედვით, დამატებით ხარჯებში მონაწილეობას ერჯერადი ხასიათი გააჩნია, თუმცა საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია მშობელს დამატებით ხარჯებში მონაწილეობა დაეკისროს პერიოდული გადახდის სახით გარკვეული დროის განმავლობაში. თუკი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამას მოითხოვს, შესაძლებელია დამატებით ხარჯები განისაზღვროს ყოველთვიურად, ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე ან მანამდე მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე.[27]

სააპელაციო ინსტანციამ ერთერთ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ალიმენტის სახით დაკისრებული თანხის ოდენობა (750 ლარი) უცვლელი დატოვა, თუმცა შეცვალა სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მითითებული გარემოებების სამართლებრივი შეფასება და გამიჯნა არასრულწლოვნის ყოველთვიური საჭიროებები (კერძოდ რომელი საჭიროება განეკუთვნება საალიმენტო ვალდებულებას და რომელი დამატებით ხარჯებს), ამ თანხის ფარგლებში მოპასუხეს დააკისრა ამ თანხის ნაწილი (500 ლარი) ალიმენტის სახით და ნაწილი (250 ლარი) დამატებითი ხარჯის სახით. აღნიშნული განჩინებით სააპელაციო პალატამ განმარტა: ბავშვის ჯანმრთელობიდან გამომდინარე სპეციალური საჭიროებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფაქტობრივად განგრძობადი და ყოველთვიური ხასიათისაა, თავისი არსით, არა საალიმენტო, არამედ დამატებითი ხარჯების კატეგორიას მიეკუთვნება. მით უფრო იმის მხედველობაში მიღებით, რომ ზოგიერთი აქტივობა მაგალითად, ცეკვა, ცურვა ან ტანვარჯიში, რაც ჩვეულებრივ საალიმენტო ვალდებულებად განიხილება, კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სამედიცინო რეკომენდაციას წარმოადგენს, რის გამოც დამატებით ხარჯებად უნდა იქნას განხილული. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მამისათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული ყოველთვიური თანხა არასრულწლოვნის სასარგებლოდ მოიცავს ალიმენტს და დამატებით ხარ-

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-733-733-2018
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-907-2023

ჯებს[28]. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც.[29]

6. საალიმენტო ვალდებულებასთან ალიმენტვალდებული პირის სხვა ფინანსური ვალდებულებების მიმართება

შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან [30]. ე.წ. საშეღავათო გარემოებად არ განიხილება საკრედიტო ვალდებულების არსებობა. მოცემული ემსახურება ალიმენტის არაფორმალური ხასიათის უზრუნველყოფასაც.

საალიმენტო სარჩელზე შედავება მოპასუხის მხრიდან ხშირად ხორციელდება საკრედიტო ვალდებულებაზე მითითებით. და მასზე აპელირებით მოპასუხე ითხოვს საალიმენტო ვალდებულებაზე შეღავათს.

სამოქალაქო საქმეზე, სადაც ორი არასრულწლოვანის მეურვედ დანიშნული ბებია (მეურვეობის ფაქტობრივი საფუძველი: დედის გარდაცვალება და მამისათვის მშობლის უფლების შეზღუდვა) ალიმენტს ითხოვდა მამისაგან, და ეს უკანასკნელი აპელირებდა საკრედიტო ვალდებულებაზე (რომლის უზრუნველსაყოფად დატვირთული იყო იპოთეკით მისი კუთვნილი უძრავი ქონება) საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ მართალია, მოპასუხეს ოფიციალურად შემოსავალი არ უფიქსირდება, მაგრამ მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ნივთები და იპოთეკა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მას გარკვეული შემოსავალი აქვს და უნდა გადახდეს ალიმენტი. სადავო ალიმენტის ოდენობაზე გავლენას ვერ მოახდენს მამის მიერ ყოველთვიურად კრედიტის დასაფარად დადგენილი გადასახადის გადახდა. და მოპასუხის საკრედიტო ვალდებულებას, არასრულწლოვანი შვილის მიმართ არსებულ საალიმენტო ვალდებულებებთან შედარებით, უპირატესი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. მოპასუხის საკრედიტო ვალდებულებები, როგორც დროებითი მოვლენა, ალიმენტის ოდენობაზე გავლენას ვერ მოახდენს, მით უფრო, რომ საბანკო ვალდებულებათა არსებობა მის გადახდისუნარიანობაზე მეტყველებს[31].

7. მზრუნველი მშობლის როლის გათვალისწინება ალიმენტის დადგენისას

ალიმენტის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამცხოვრები მშობლის როლი, რაც მოიაზრებს სწორედ რჩენისათვის საჭირო ფულადი თანხის განაწილების თანაბრობის წესიდან გადახვევას ალიმენტის დაკისრების დროს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მშობელს და ხშირად საქართველოში ასეთს ქალები წარმოადგენენ, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, უფრო მეტი ხარჯის/რესურსის გაწევა უწევს და ეს არ არის მხოლოდ ფულადი თანხა. თანამცხოვრები მშობლის გონებ-

[28] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის განჩინება საქმეზე №ბ/566-23.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 05 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-449-2024.

[30] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის №ას-58-49-2011 გადაწყვეტილება, 2017 წლის 17 ოქტომბრის №ას-1141-1061-2017, 2020 წლის 25 თებერვლის №ას-1355-2019 და 2020 წლის 13 მარტის №ას-1301-2019 განჩინებები).

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 09 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1072-2022.

რივი, ფსიქოლოგიური და დროის რესურსის მხედველობაში მიღებაა საჭირო, რის ხარჯზეც მას საკუთარი თავის რეალიზებისა თუ დამატებითი შემოსავლის მისაღებად რესურსი აკლდება.

8. საარსებო მინიმუმის მაქსიმალური ოდენობა – ალიმენტის მინიმალური ზღვარი

საქართველოს კანონმდებლობა და იურიდიული ლიტერატურა არ იცნობს ალიმენტის ფორმულას – მისი გამოანგარიშების წესს. ასეთი ფორმულა-რეკომენდაციები ბევრი ქვეყნისათვის არის ცნობილი[32]. ამ ხარვეზის გარკვეულწილად შესავსებად, ბოლო წლებში, სასამართლო ალიმენტის ოდენობის დადგენისათვის დამხმარე ინსტრუმენტად საარსებო მინიმუმის ინსტიტუტს იყენებს. საარსებო მინიმუმი ის მინიმალური ზღვარია, საიდანაც სასამართლომ „ფიქრი უნდა დაიწყოს" ალიმენტის ოდენობაზე. მოცემული საარსებო მინიმუმის ცნებიდან და მიზნიდან გამომდინარეობს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საარსებო მინიმუმი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქის სოციალური დაცვისა და სოციალური გარანტიების შემუშავების საფუძველს. სწორედ საარსებო მინიმუმის საფუძველზე ხდება მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარება. მისი ძირითადი დანიშნულებაა: მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების წარმოჩენა; მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის განსაზღვრა; ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოციალური გასაცემლების მინიმალური ოდენობის განსაზღვრა [33]. საარსებო მინიმუმი საფუძვლად ედება სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებას. იგი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა სოციალური დაცვისა და სოციალური გარანტიების შექმნის მიმართულებით ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის ორიენტირად გამოიყენება და შემოსავლების თვალსაზრისით, ქვეყნის ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის. და იგი ხშირადაც არის საგანი კრიტიკისა[34]. ამ უკანასკნელის ჭრილში აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2021 წლამდე ქვეყნდებოდა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის, საშუალო მომხმარებლის და, შემდეგ უკვე სულადობის მიხედვით, ოჯახების საარსებო მინიმუმი. შემდეგი წლებიდან შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის მონაცემები ქვეყნდება. [35] საშუალო მომხმარებლის ცნებაში ქალისა და ბავშვის მოაზრება არ იქნება მართებული. ამასთან, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მამაკაცის საარსებო მინიმუმის ოდენობა მეტი ოდენობისაა ვიდრე საშუალო მომხმარებლის (2024 წლის დეკემბრისათვის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ოდენობა 260.3

---

[32] იხ. მაგ., Family Law Handbook. Canadian Judicial Council, <https://cjc-ccm.ca/sites/default/files/documents/2021/Family%20Handbook%20-%20ENGLISH%20MASTER%20FINAL%202021-03-30.pdf> [15.03.2025].

[33] საქართველოს კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ მიღებული 17/04.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7> [15.03.2025].

[34] *ბარბაქაძე ზ.* სიღარიბე და საარსებო მინიმუმის ცვლილების საჭიროება, <https://socialjustice.org.ge/ka/products/sigharibe-da-saarsebo-minimumis-tsvlilebis-sachiroeba>[15.03.2025],

[35] <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> [15.03.2025].

ლარს შეადგენდა, ხოლო საშუალო მომხმარებლის – 230.5 ლარს[36]). აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის გამოანგარიშება ხდება სპეციალური სასურსათო კალათის მეშვეობით და შესაბამისად მხოლოდ სურსათის ღირებულების გამომხატველი მაჩვენებელია. საარსებო მინიმუმში არ შედის კომუნალური ტარიფების, ტრანსპორტისა და სხვა მრავალი ხარჯის ღირებულება.

ალიმენტი არ არის საარსებო მინიმუმის იდენტური, იგი გაცილებით ფართო ცნებაა. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. შესაძლებლობის ფარგლებში ბავშვს უნდა შეექმნას მაქსიმალურად საუკეთესო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ განვითარებას და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

საალიმენტო ფორმულის არ არსებობის პირობებში ბავშვის საარსებო მინიმუმისა განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის ნორმები და ნორმატივების დადგენა, რომლებზე დაყრდნობითაც სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეძლებდა დადგენილი პერიოდულობით, გამოთვალოს და გამოაქვეყნოს ბავშვის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი ხელს შეუწყობდა იმ არაერთგვაროვნების აღმოფხვრას და სასამართლო პრაქტიკის განჭვრეტადობას.

9. ალიმენტის ბმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის სხვა კრიტერიუმებთან

ალიმენტის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარი მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 1214-ე მუხლთან ერთად, უნდა იყოს ბუკ-ის 81-ე მუხლი. როგორც ზევით აღინიშნა, ეს უკანასკნელი თავისთავადია ამ კატეგორიის საქმეთა მიმართ. იგი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების საფუძვლებს. რომლის მიხედვითაც, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების წესითაა საკითხი გადაწყვეტილი სასამართლოს მიერ, თუ მიღებული გადაწყვეტილება ხელს უწყობს: ა/ ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვას და უსაფრთხოებას; ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობას; გ) ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მისი შეურაცხყოფისა და საფრთხის თავიდან აცილებას; დ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობას, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემას; ე) ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინებას; ვ) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობას; ზ) ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობას; თ) ბავშვის მოსაზრების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების ეტაპზე ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების კონკრეტულ ღონისძიებებს; ი) და სხვა საკითხებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადაწყვეტაზე.

[36] იხ, იქვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი საარსებო მინიმუმი არის ის მინიმუმი, საიდან ათვლაც უნდა დაიწყოს სასამართლომ (რადგან ალიმენტი არის არა ბავშვის ასრებობისათვის საჭირო მინიმუმი, არამედ მისი რჩენა აღზრდისათვის თანხა, რომლის მინიმუმი აღემატება არსებობისათვის მინიმუმს), მასთან ერთად, ალიმენტი უნდა ითვალისწინებდეს იმ თანხას, რაც ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობის, ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობას, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემას უზრუნველყოფს. მოცემულის რეალიზაცია კი გამოიხატება ალიმენტის ოდენობაში ბავშვისათვის საჭირო ან სასურველი მინიმუმ ერთი აქტივობის საშუალო ფასის (იმ რეგიონისათვის მახასიათებელი ფასი, სადაც ბავშვი ცხოვრობს) გათვალისწინებით, მაგალითად სპორტული აქტივობის (საცურაო აუზის, ფეხბურთის წრის თვიური აბონიმენტის საშუალო თანხა) ან საგანმანათლებლო/ შემეცნებითი აქტივობის (სამოყვარულო თეატრის აბონიმენტის საშუალო თანხა).

10. საალიმენტო დავების ზოგიერთი საპროცესო სამართლებრივი თავისებურება

საოჯახო დავების განხილვის განსაკუთრებულ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ წესს კანონმდებელი უსვამს ხაზს, სსსკ-ში როგორც მისი ცალკე თავად – XLIII თავი „საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი“ – გათვალისწინების წესით, ასევე ნორმათა შინაარსით[37]. ამ თავის ნაწილია სწორედ ზემო აღნიშნული სსსკ-ის 354-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საქმის გარემოებების დადგენას სასამართლოს ინიციატივით.

10.1. საალიმენტო და სხვა ხასიათის საოჯახო სამართლებრივი მოთხოვნები

სსსკ-ის 354-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს საოჯახო დავების განხილვას სხვა კატეგორიის დავებთან ერთად. თუმცა ზოგჯერ მხარეს სურს უკვე აღძრულ საალიმენტო დავაში საოჯახო სამართლებრივი სხვა მოთხოვნით, კერძოდ ბავშვთან ურთიერთობის ან/და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, შეგებებული სარჩელის აღძვრაც.

ერთერთ საქმეზე, სადაც პირვანდელი სარჩელით მოთხოვნილი გახლდათ ალიმენტის დაკისრება, ხოლო შეგებებული სარჩელით შვილებთან ურთიერთობის წესის და მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, პალატამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად, კონკრეტულ საქმეში შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღება. და განმარტა, რომ ნაწილობრივ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტაციას, სსსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით (მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ: შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას), ვინაიდან ჩვეულებრივ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა ერთ-ერთ მშობელთან, გავლენას ახდენს ალიმენტის დაკისრებაზე. მიუხედავად ამისა მიიჩნია: შეგებებული სარჩელის მიღება წარმოებაში სარჩელის განხილვის ამ ეტაპზე არაგონივრულია; საყურადღებოა, რომ ალიმენტის შესახებ სარჩელი უკვე მომზადებულია განსა-

[37] საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [15.03.2025].

ხილველად, ხოლო ურთიერთობის წესისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე სარჩელის მომზადების სპეციფიკა განსხვავებულია; ნიშანდობლივია, ასევე, რომ ალიმენტის შესახებ საქმის განხილვისთვის დადგენილია სპეციალური შემჭიდროვებული, ერთ თვიანი ვადა და შეგებებული სარჩელის მიღება ალიმენტის დაყოვნებას შეუწყობს ხელს; ალიმენტი ეკისრება მხარეს სარჩელის აღძვრის დღიდან და იმ პერიოდამდე, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილება საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე კანონიერ ძალაში არ შევა, ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ალიმენტი; ამავდროულად ალიმენტის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე გასათვალისწინებელი გარემოება იქნება, თუკი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი მამასთან იქნება განსაზღვრული, შესაბამისად, იმ პერიოდიდან, როდესაც საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, მამას ალიმენტი აღარ გადახდება; მართალია შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის იკვეთება ურთიერთკავშირი, თუმცა, კანონის კუმულატიური წინაპირობა, რომ მათი ერთად განხილვა უნდა განაპირობებდეს დავის უფრო სწორად და სწრაფად გადაწყვეტას, მოცემულ შემთხვევაში ვერ რეალიზდება. ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის სისწორეზე გავლენას ვერ მოახდენს ერთად განიხილება თუ ცალ-ცალკე სარჩელი და შეგებებული სარჩელი, ვინაიდან დასადგენ გარემოებათა წრე განსხვავებულია; ამავდროულად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო ჩვეულებრივ მხედველობაში იღებს ბავშვის უფლებას ორივე მშობელთან ჰქონდეს ურთიერთობა, და ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა არ უნდა იქნას აღრეული საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შემთხვევაში; საცხოვრებელი ადგილის ერთ მშობელთან განსაზღვრა, მეორეს წარმოუშობს საალიმენტო მოთხოვნის უფლებას, ხოლო ნებისმიერი შეცვლილი გარემოება შეიძლება გახდეს შემდგომში სსკ-ის 1221-ე მუხლის[38] გამოყენების საფუძველი.[39]

10.2 საალიმენტო სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებს აწესრიგებს სსსკ-ის 191-198-ე მუხლები და თავისთავად, ვრცელდება იგი საოჯახო დავებზეც. საალიმენტო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელე მხარე ხშირად მოითხოვს მოპასუხე ალიმენვალდებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებას ან მის უფლებათა შემზღუდავი სხვა ღონისძიების გამოყენებას. რიგ შემთხვევებში ასეთი მოთხოვნა სასამართლოს მიერ სრულად კმაყოფილდება გარკვეულწილად მხარეთა ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის დარღვევით. ერთერთ საქმეზე, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხის ქონების მიმართ ალიმენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაადგინა რა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების და უფლებრივი დატვირთვის შეზღუდვა, პალატამ განმარტა: რათა აცილებული იქნეს მომავალში გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლო გართულება ან შეუძლებლობა, მიზანშეწონილია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მო-

[38] სსკ-ის 1221-ე მუხლი: 1. მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ; 2. იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა

[39] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქმე №2ბ/5467-24 (№330210024008595273).

პასუხის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე. თუმცა საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. მოცემულ საქმეში, მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს მოპასუხისათვის არა ერთჯერადად გადასახდელი თანხის დაკისრებას, არამედ პერიოდული (ყოველთვიური, განგრძობადი) გადასახდელი თანხის დაკისრებას, რომელიც სავარაუდოდ, ალიმენტის მიმღების სრულწლოვანების მიღწევამდე უნდა გაგრძელდეს. ბუნდოვანია, თუ რა პერიოდით და კონკრეტულად რა მოთხოვნის უზრუნველყოფას ემსახურება გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებელი ალიმენტის გადახდის ვალდებულების არსებობის მთელ პერიოდს გულისხმობს, პალატას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული ღონისძიება არ შეიძლება გამართლებული აღმოჩნდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე. საალიმენტო ვალდებულება უნდა შესრულდეს, როგორც წესი, ყოველთვიურად და გადახდევინება შეიძლება მიექცეს მოპასუხის ხელფასზე, ან სხვა მიმდინარე შემოსავალზე. საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოიშვება დავალიანება და ამ დავალიანების დაფარვის მიზნით შესაძლოა სააღსრულებო ბიურომ დააყადაღოს მოპასუხის უძრავი ქონება, შემდეგ კი განახორციელოს ამ ქონებიდან დავალიანების იძულებითი წესით დაფარვა. განუსაზღვრელი ვადით საკუთრების უფლების შეზღუდვა იმ დავალიანების უზრუნველყოფის მიზნით, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, ერთის მხრივ მოპასუხის საკუთრების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას იწვევს, ხოლო მეორეს მხრივ მოსარჩელეს ხდის ვალდებულს აანაზღაუროს ის ზიანი, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით შესაძლოა მოპასუხეს მიადგეს. სარჩელის უზრუნველყოფის საპროცესო ინსტიტუტი მართალია სარჩელის დაცვაა, თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების სახეს, რომლის მიზანია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, თუმცა იგი არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღუდველი ღონისძიება. ალიმენტის გადახდის დაკისრების მოთხოვნასთან მიმართებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს დროით ან/და საგნით (მოთხოვნის ფარლგებით) შეზღუდული, რათა მესაკუთრის უფლებები არათანაზომიერად არ შეილახოს. საალიმენტო სარჩელის უზრუნველოფის შესახებ განჩინებიდან გარკვევით უნდა ჩანდეს, თუ რა ნაწილში უზრუნველყოფს საპროცესო ღონისძიება საალიმენტო ვალდებულებას: მაგ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გულისხმობს მას, რომ რასაც შეადგენს ამ დროისთვის შესასრულებელი ვალდებულება იგი უნდა დაიფაროს უზრუნველყოფის საგნით, თუ – არა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ალიმენტის დაკისრების (განგრძობადი) მოთხოვნა, მიზანშეწონილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება განისაზღვროს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ვადით და კონკრეტულად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დრომდე დარიცხული ალიმენტის ოდენობის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული მიეთითოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილშიც. მითითებული აღნიშვნის გარეშე, უზრუნველყოფის ღონისძიება მოპასუხის არასრულწლოვანი შვილების სრულწლოვანების მიღწევამდე, შესაძლოა მოპასუხეს არათანაზომიერად ზღუდავდეს, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხემ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება ნებაყოფლობით შეიძლება განახორციელოს ასევე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ და-

რიცხულ ალიმენტთან მიმართებითაც. სსსკ აგებულია რა მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. სასამართლო ვალდებულია, დაიცვას ბალანსი კრედიტორის კანონიერ მოთხოვნასა და მოვალის ასევე კანონიერ ინტერესს შორის, არ შეზღუდოს იმაზე მეტად, ვიდრე ეს კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლადაა აუცილებელი[40].

აღნიშნული განმარტების პრაქტიკა თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯერ კიდევ 2019 წელს დაადგინა, როდესაც საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ დარიცხული საალიმენტო დავალიანების უზრუნველსაყოფად მოპასუხის ქონების გასხვისების, გაჩუქებისა და სხვაგვარი სამართლებრივი დატვირთვის აკრძალვის ღონისძიების გამოყენებაზე უარი უთხრა განმცხადებელს და დაადგინა იგი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დარიცხული საალიმენტო თანხის უზრუნველსაყოფად[41].

10.3. დროებითი განკარგულება

საოჯახო დავების საპროცესო სამართლებრივი თავისებურებას ასახავს დროებითი განკარგულების ინსტიტუტიც – სსსკ-ის 355-ე მუხლი.

სსსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს: ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები; ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან; გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის; დ) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება; ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ; ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი; ზ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი. აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია, მხარეთა განცხადების საფუძველზე, შეცვალოს ან მთლიანად გააუქმოს თავისი განჩინება.

დროებითი განკარგულება, ისევე როგორც სარჩელის უზრუნველყოფა, დროებითი ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს განჩინებით დგინდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და საქმის განხილვის დროს მოქმედებს, თუ არ შეიცვალა ან გაუქმდა იმავე სასამართლოს მიერ. ის არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, რომლის ფუნქცია და მოსწესრიგების წესი (სსსკ-ის 191-198 მუხ) განსხვავებულია. შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყდება სასამართლოს მიერ განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად – სსსკ-ის 193-ე მუხლი. დროებითი განკარგულების შუამდგომლობა კი განიხილება სსსკ-ის 83-ე მუხლის ფარგლებში (რომელიც ადგენს პროცესის ყველა მონაწილის უფლებას, მოსაზრება წარმოადგინოს საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები)რდა დროებითი განკარგულების განხილვის ვადას არ ადგენს კანონმდებელი. ეს უკანასკნელი სასამართლოს დისკრეაციაა გონივრული ვადების წესის დაცვით. სარჩელის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო ბაჟია დადგენილი და ამავე დროს მას გასაჩივრების სპეციალური წესი აქვს (სსსკ-ის 39-ე, 197-ე მუხლი), რაც არ ახასიათებს დროებით განკარგუ-

[40] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5074-24

[41] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 მარტის განჩინება საქმე №2/6428-19.

ლებას. ეს უკანასკნელი საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად შეიძლება გასაჩივრდეს – სსსკ-ის 377-ე მუხლი, ან ექვემდებარება იმავე სასამართლოს მიმართ გაქუმების მოთხოვნით მიმართვას – სსსკ-ის 355.3. მუხლი.

სსსკ-ის 355-ე მუხლი პირდაპირ დათქმას ალიმენტის დროებითი განკარგულებით განსაზღვრის შესახებ არ ითვალისწინებს, რაც მისით ალიმენტის დროებით მოწესრიგების შემაფერხებელ გარემოებას არ წარმოადგენს[42]. მოცემული სასამართლომ შეიძლება, დაადგინოს სსსკ-ის 355-ე მუხლის ა/ და დ/ ქვეპუქტების საფუძველზე და სსკ-ის 1198-1199-ე მუხლზე მითითებით და ხშირად მისი ოდენობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობის ფარგლებში განისაღვრება[43] .

11. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

საქართველოში ალიმენტის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება თანამედროვეობის გამოწვევაა. როგორც ლიტერატურაში აღინიშნება საალიმენტო გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემა ვერ პასუხობს ეფექტიანობის მოთხოვნას [44].

კანონმდებლობა გვაძლევს ალიმენტის გადახდის თავის არიდებისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესაძლებლობას და პასუხისმგებლობის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოცდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.[45] მაგრამ იშვიათია მისი გამოყენების შემთხვევა. უფრო შედეგის მომტანი იქნებოდა სხვა ქვეყანებში არსებული პასუხისმგებლობის ისეთი სისტემა, რომელიც ალიმენტვალდებულის უფლებების მეტად შეზღუდვაში გამოიხატება, კერძოდ მაგალითად, ესტონეთის სააღსრულებო კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ სააღსრულებო პროცედურების მიმდინარეობისას (სამი თვის განმავლობაში) ალიმენტის გადახდაზე პასუხისმგებელი პირი მაინც არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას და აღმასრულებლის მხრიდან მანამდე გაწეული ღონისძიებები წარუმატებელი აღმოჩნდა, მას შეუძლია შეუზღუდოს/შეუჩეროს ისეთი უფლებები, როგორიცაა ნადირობის უფლება, საავტომობილო საშუალების მართვის უფლება, იარაღზე ნებართვის ან იარაღის შეძენის ნებართვის მოქმედება, რეკრეაციული და პერსონალური წყალსატევების მართვის უფლება, თევზაობის ნებართვა. ესტონეთის კანონმდებლობა, ზემოთ აღნიშნულ სააღსრულებო ღო-

[42] მაგალითად, სსსკ-ის 355-ე მუხლი უშუალოდ არ ითვალისწინებს მშობლის უფლების შეზღუდვის მოწესრიგებას დროებითი განკარგულების მიღების წესით, მაგრამ ეს არ წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას ამ საკითხის დროებითი განკარგულებით მოწესრიგებისთვის. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/10/2012 საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0> 15.03.2025].

[43] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 01.03.2024 განჩინება N2ბ/6723-23 დროებითი განკარგულების შესახებ

[44] 2020 წელს აღსრულების ეროვნულ ბიუროში შევიდა ალიმენტის კატეგორიის 513 ერთეული საქმე, ხოლო აღსრულდა 117; 2021 წელს შევიდა 517 საქმე და აღსრულდა 138; 2022 წელს შევიდა 572 საქმე და აღსრულდა 159; 2023 წლის იანვრის ბოლოს არსებული მონაცემებით, წარმოებაშია ალიმენტის კატეგორიის 8949 ერთეული საქმე. იხ. *ურუხჩიშვილი გ,* ალიმენტის გადაუხდელობა -კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში, საფარი, თბ. 2022.

[45] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2287 22/07/1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426%23%21?publication=11#!> [15.03.2025]. მუხ.176

ნისძიებებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს სასამართლოს ბრძანებით შემდეგი დოკუმენტების მოქმედების შეჩერებას/გაუქმებას ან გაცემის უფლების შეზღუდვას გარკვეული ვადით: ესტონეთის მოქალაქეობის პასპორტი, უცხო მოქალაქის პასპორტი, ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი, დროებითი სამგზავრო დოკუმენტი, მეზღვაურის წიგნაკი, ცნობა ესტონურ გემზე მსახურობის შესახებ, დიპლომატიური პასპორტი. სასამართლო უფლებამოსილია, ერთდროულად გამოიყენოს რამდენიმე უფლების შეზღუდვა ან შეჩერება ესტონეთის კანონმდებლობით თუ პირი განზრახ არიდებს თავს სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდას, სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება ჯარიმით და ერთი წლით თავისულფების აღკვეთით[46]. ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს ლიეტუვას კანონმდებლობა ალიმენტის გადაუხდელობისთვის[47].

მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი იქნებოდა საქართველოში ფინანსური პოლიციის ავტომატური წესით ჩართვა, თავისთავად გარკვეული წინაპირობების დაცვით, აღუსრულებელი ალიმენტის საქმეებში, და ალიმენტისგან ჯიუტად თავის არიდების ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განხილვა[48]. ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდება, ეკონომიკური ძალადობის ნიშნების მატარებელია და კანონმდებელიც უფრო შესაბამისად უნდა უდგებოდეს. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ალიმენტვალდებული პირების თითქმის სრული უმრავლესობა მამაკაცები არიან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებების აღსრულებას ECHR-ის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში განიხილავს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლების განუყოფელი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი. აღნიშნული უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა – შექმნას ადეკვატური აღსრულების სისტემა და „აღსრულება უნდა იყოს სრული და ამომწურავი და არა ნაწილობრივი[49].

12. დასკვნა

ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ბავშვის „სპეციალური დაცვის“ აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტად განიხილავს არასრულწლოვნის სოციალურ უფლებას, რომელიც, როგორც აღინიშნა, ამავე კონვენციით აღიარებულ „საუკეთესო ინტერესების“ ქოლგის ქვეშ თავსდება და სახელმწიფოა ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობი-

---

46 Code of Enforcement Procedure, passed 20.04.2005, entry into force 01.01.2006 <https://wipolex-res.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ee/ee141en.html> [15.03.2025].

47 Penal code, passed 06.06.2011, entiry into force 01.09.2002 <https://www.riigiteataja.ee/en/eli/522012015002/consolide> [15.03.2025].

48 იხ. *ურუხჩიშვილი გ.* ალიმენტის გადაუხდელობა – კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში, თბ. 2022, 27.

49 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Case of Micallef v Malta, Application no. 17056/06, 15 October 2009 <https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22002-1270%22]}> [15.03.2025].
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Case of Amat-G LTD and Mebagjishvili v. Georgia, Application no. 2507/03, <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-70293%22]}> [15.03.2025].

სათვის[50] . ეს არ გულისხმობს მხოლოდ მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფომ უნდა გაახორციელოს აღნიშნული კონვენციებით გათვალისწინებული მოვალეობის მეორე ასპექტი და, თავად უზრუნველყოს ბავშვის უფლება საჩოზე, როცა მშობელს არ აქვს ამის რესურსი ან არ ასრულებს ამ მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო იცნობს ბავშვების სოციალური დახმარების სპეციალურ ინსტიტუტებს: გარანტირებული ალიმენტი, საალიმენტო შემწეობა და სხვ. რათა სახელმწიფომ თავისი ვალდებულების ჭრილში უზრუნველყოს იმ ბავშვების კეთილდღეობა, რომელთა მშობლებიც მიზეზების გამო, ალიმენტს ვერ იხდიან. ამასთან ზოგიერთ სახელმწიფოში აღნიშნული დახმარების გაწევის შემდგომ, სახელმწიფო უფლებამოსილია, მოითხოვოს ბავშვის მშობლებისაგან თანხის ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მათ მიერ ალიმენტის გადახდისგან თავის არიდება არასაპატიო მიზეზით ხდებოდა.[51]

საქართველოს კანონმდებლობას, როგორც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, ისე მისი აღსრულების თვალსაზრისით, ახასიათებს აბსტრაქტული ხასიათი და სიმწირე პრაქტიკული სტანდარტებისა და მექანიზმების შემოთავაზების მხრივ. თუ სახელმწიფო ბავშვის ალიმენტის საკითხს მეტ დროსა და ყურადღებას დაუთმობს როგორც საალიმენტო ფონდების შექმნის, ისე ალიმენტის კალკულაციის კრიტერიუმების განსაზღვრის (თუნდაც ბავშვი საარსებო მინიმუმის დაანგარიშების წესით) ჭრილში და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავებისათვის უფრო ქმედითი იქნებიან შესაბამისი ინსტიტუციები, ბავშვის უფლება იყოს სოციალურად დაცული იქნება მეტად რეალიზებული და ქმედითი.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31-33, 24/08/1995 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [15.03.2025].
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 786, 24/07/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [15.03.2025].
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> [15.03.2025].

[50] გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს. მუხლი 26, 27, 3 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [15.03.2025].

[51] მაგ., ესტონეთის სოციალური დაზღვევის საბჭო, გასცემს ორი ტიპის საალიმენტო შემწეობას, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროსა და სააღსრულებო წარმოებისას. იხ. Family Benefits act. Passed 15.06.2016, entry into force 01.01.2017, <https://www.riigiteataja.ee/en/eli/509022018001/consolide> [15.03.2025].

ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით, ალიმენტის გადაუხდელობის (სრული შემწეობა) ან არასაკმარისი ოდენობის ალიმენტის (შემცირებული) შემთხვევაში, გაიცემა ე. წ. გარანტირებულ ალიმენტი, ანუ საალიმენტო შემწეობა. თუ ალიმენტვალდებული მშობელი უუნაროა, გადაიხადოს ალიმენტი და შესაბამისად, მას აქვს ნულოვანი ალიმენტის გადახდის ვალდებულება, ბავშვი მიიღებს საალიმენტო შემწეობის სრულ ოდენობას. ფინეთში გარანტირებული ალიმენტის მიღების, მაგალითად, შემდეგი საფუძვლები არსებობს: თუ ბავშვს ალიმენტვალდებული მშობლისგან სულ მცირე, ერთი თვის ალიმენტი არ მიუღია; როდესაც სასამართლოს ან სოციალური კეთილდღეობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ალიმენტის ოდენობა საალიმენტო შემწეობაზე ნაკლებია და სხვ. იხ. <https://www.kela.fi/families> [15.03.2025]. Benefits for families with children Family benefits and assistance for families with sick children <https://www.expat-finland.com/pdf/kela/home_and_family.pdf> [15.03.2025].

4. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-Iს, 20/09/2019, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4> [15.03.2025].
5. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2287 22/07/1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426%23%21?publication=11#!> [15.03.2025].
6. საქართველოს კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ მიღებული 17/04.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7> [15.03.2025].
7. გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [15.03.2025]. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს, ძალაში შესვლის თარიღი 02/07/1994.
8. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [15.03.2025]. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 20.05.1999.
9. Benefits for families with children Family benefits and assistance for families with sick children < https://www.expat-finland.com/pdf/kela/home_and_family.pdf> [15.03.2025].
10. Constitution of the Republic of Lithuania. Adopted by the citizens of the Republic of Lithuania in the Referendum of 25 October 1992. <https://www.lrs.lt/home/Konstitucija/Constitution.htm> [15.03.2025].
11. Child Support Act 1991. Meaning of certain terms used in this Act <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1991/48/enacted> [15.03.2025].
12. Code of Enforcement Procedure, passed 20.04.2005, entry into force 01.01.2006. <https://wipolex-res.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ee/ee141en.html> [15.03.2025].
13. German Civil Code. in the version promulgated on 2 January 2002 (Federal Law Gazette [Bundesgesetzblatt] I page 42, 2909; 2003 I page 738), last amended by Article 1 of the Act of 10 August 2021 (Federal Law Gazette I p. 3515, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p6331> [15.03.2025].
14. Penal code, passed 06.06.2011, entiry into force 01.09.2002 <https://www.riigiteataja.ee/en/eli/522012015002/consolide> [15.03.2025].
15. Family Benefits act. Passed 15.06.2016, entry into force 01.01.2017 <https://www.riigiteataja.ee/en/eli/509022018001/consolide> [15.03.2025].
16. The Child Support Maintenance Calculation Regulations 2012, Regulation 50, “Parents treated as non-resident parent in shared care cases“. <https://www.legislation.gov.uk/uksi/2012/2677/contents/made> [15.03.2025].
17. *ბარბაქაძე ზ.* სიღარიბე და საარსებო მინიმუმის ცვლილების საჭიროება, <https://socialjustice.org.ge/ka/products/sigharibe-da-saarsebo-minimumis-tsvlilebis-sachiroeba> [15.03.2025].
18. *ლომთათიძე ე., მამრიკიშვილი ე.,* „ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება შედარებით – სამართლებრივი კვლევა“, თბ., 2022.
    ლომთათიძე ე., ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება – საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, თბ., 2022, 5.
19. *სიჭინავა ე.*, ილიას სამართლის სახლი საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება განქორწინებისა და მამობის დადგენის საქმეებზე დადგენის საქმეებზე, თბ., 2023.
20. *ურუხჩიშვილი გ,* ალიმენტის გადაუხდელობა – კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში, „საფარი“, თბ., 2022.
21. *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2011, 244-245.
22. *ჯაფარიძე ქ.,* „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, *სადოქტორო ნაშრომი,* თსუ, 2015. <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf> [15.03.2025].

23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/10/2012 საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0> [15.03.2025].
24. Family Law Handbook. Canadian Judicial Council, <https://cjc-ccm.ca/sites/default/files/documents/2021/Family%20Handbook%20-%20ENGLISH%20MASTER%20FINAL%202021-03-30.pdf>[15.03.2025].
25. *Herring J.,* Family Law, Eighth Edition. University of Oxford, 2017. <https://aghalibrary.com/storage/books/1609407553_AghaLibrary.pdf> [15.03.2025].
26. *Seltzzer J. A., Meyer D.R.,* Child Support and Children/s Well-Being. <https://evidence2impact.psu.edu/wp-content/uploads/2023/05/s_wifis06c02.pdf> [15.03.2025].
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 2022წლის 09 ნოემბრის განჩინება №ას-1072-2022. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx> [15.03.2025].
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-58-49-2011.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1141-1061-2017.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1355-2019,
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1301-2019.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს *2018 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-733-733-2018.*
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-907-2023.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 05 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-449-2024.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის №ას-58-49-2011 გადაწყვეტილება.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინება №ას-1141-1061-2017.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის განჩინება №ას-1355-2019 .
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 13 მარტის განჩინება №ას-1301-2019.
39. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის განჩინება საქმეზე N2ბ/566-23.
40. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ №2ბ/5467-24 (№330210024008595273*).*
41. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N2ბ/2512-24.
42. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე N2ბ/4704-21.
43. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N2ბ/5074-24.
44. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 01.03.2024 განჩინება N2ბ/6723-23 დროებითი განკარგულების შესახებ.
45. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 მარტის განჩინება საქმე №2/6428-19.
46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Case of Micallef v Malta, Application no. 17056/06, 15 October 2009.
47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Case of Amat-G LTD and Mebagjishvili v. Georgia, Application no. 2507/03, Application no. 2507/03.
48. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 (2013წ.) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“ <https://digitallibrary.un.org/record/778523> [15.03.2025].